ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №25

6 სექტემბერი 2022 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-032223533-03; 11-01222351644 23.08.2022წ)
(საკრ.№15-032224847-03; 11-01222483144 5.09. 2022წ)
(საკრ.№15-032224820-03; 11-01222481135 5.09. 2022წ)
(საკრ.№15-032224847-03; 11-01222483144 5.09. 2022წ)

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იზრდება მესამე კვარტლის გეგმა შემდეგ პროგრამებში:

„გლდანის რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებები“(პროგრამული კოდი 02 09 10)- 80 000 ლარით,; „ისნის რაიონში გზების მოვლა შეკეთება“ (პროგრამული კოდი 01 01 14)- 110 000 ლარით; „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითრების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში“ (პროგრამული კოდი 05 01 09)- 310 000 ლარით; „ სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“(პროგრამული კოდი 06 02 18 12) – 100 000 ლარით; „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგრამული კოდი 02 09 10) – 1 140 000 ლარით; „გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგრამული კოდი 01 01 09) – 40 000 ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“ (პროგრამული კოდი 08 06 045) – 45391 ლარით; „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ (პროგრამული 02 02) – 1 000 000 ლარით.

იზრდება წლიური გეგმა შემდეგ ქვერპოგრამებში: სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი“ (პროგ.კოდი 08 01 01)-58511 ლარით, „სამეფო უბნის თეატრი“ (პროგ.კოდი 08 01 08) -55250 ლარით, ხელოვნების ძეგლების და პანთეონების მოვლა-პატრონობა (პროგ.კოდი 08 04 04)- 60 000 ლარით. დაბალანსება ხდება მათთვის მიკუთვნებულ სხვა ქვეპროგრამებში მესამე კვარტალში არსებული ეკონომიებით.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ისაუბრა წარმოდგენილი კვარტალური ცვლილებების გამომწვევ მიზეზებზე და ასევე ქვეპროგრამეში კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებებზე.

მომხრე- 8. ნინო წულაძემ თავი შეიკავა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**